ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები – ნ. მ; ზ. კ, წარმომადგენელი: ნ. კ
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.02.2016
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 009/16
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ლ. ჭ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჭ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2016 წლის 09 თებერვალს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ნ. მ-მ და ზ. კ-მ და მოითხოვეს ადვოკატ ლ. ჭ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად 2015 წლის 26 მარტს ადვოკატ ლ. ჭ-თან გააფორმეს ხელშეკრულება. საჩივრის ავტორმა თავდაპირველად ადვოკატს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, შემდეგ კი 100 (ასი) ლარი გადაუხადა. გარკვეული ხნის შემდეგ ადვოკატი კვლავ დაუკავშირდა კლიენტს და მოითხოვა დამატებით 1000 (ათასი) ლარი, რაც, როგორც ადვოკატმა ახსნა, საჭირო იყო აუდიტის ჩასატარებლად. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა 800 (რვაასი) ლარი აუდიტის ჩასატარებლად, რომლის თაობაზეც ბოლომდე არაფერია მისთვის ცნობილი. ადვოკატს კლიენტისთვის არ წარმოუდგენია ანგარიშგება თუ რისთვის იყენებდა გადაცემულ თანხებს. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატთან შეთანხმებული ჰქონდათ საქმის დასრულების შედეგად ამოღებული თანხის 10%-ის (ათი პროცენტის) საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით გადაცემა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მათ შეპირდა, რომ მოპასუხისაგან ამოიღებდა არამარტო ძირ თანხას - 10 000 (ათი ათას) აშშ დოლარს, არამედ, მოპასუხეს აანაზღაურებინებდა მიყენებულ ზიანსაც.

1.4 საჩივრის ავტორს ადვოკატისთვის თანხის გადაცემის შემდეგ გაურთულდა ლ. ჭ-თან სატელეფონო კომუნიკაცია. საჩივრის ავტორებისთვის ადვოკატისგან ცნობილი იყო, რომ საქმეს იუსტიციის სამინისტროს გენინსპექცია, მთავარი პროკურატურა იძიებდა და მალე დასრულდებოდა, თუმცა საქმე გაჭიანურდა, მათ არავინ იბარებდა დასაკითხად, რამაც სერიოზული ეჭვი გაუჩინათ ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებების მიმართ.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ საქმეზე დაბარებულები იყვნენ, როგორც მხარე, ვინაიდან განიხილებოდა მორიგების საკითხი და ადვოკატმა ისინი არ გაუშვა სხდომაზე. ადვოკატმა, საჩივრის ავტორებს უთხრა, რომ მათი სხდომაზე დასწრება აუცილებელი არ იყო, ის განცხადებას გააგზავნიდა, რომლითაც მოაგვარებდა მათ საქმეს. სასამართლომ აცნობა მომჩივანს, რომ ვერ უკავშირდებოდნენ მათ ადვოკატს. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დავა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ დასრულდა და ადვოკატს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში განცხადება არ გაუგზავნია.

1.6 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატი არის არაპროფესიონალი. იგი მათთან კონტაქტს თავს არიდებდა, ინფორმაციას არ აწვდიდა საქმის მიმდინარეობის შესახებ, მიითვისა თანხები და მიიმალა. პროკურატურაშიც მხოლოდ 2015 წლის 21 ოქტომბერს შეიტანა განცხადება, ანუ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ და, ამ მხრივ, ისინი კვლავ არ არიან ინფორმირებულები საქმის მსვლელობის შესახებ.

1.7 საჩივრის ავტორებმა გადაწყვიტეს ადვოკატისთვის უარი ეთქვათ მომსახურების მიღებაზე, ვინაიდან ის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობებს არ ასრულებდა, და მოსთხოვეს დოკუმენტებისა და თანხის დაბრუნება. კლიენტებთან შეხვედრისას ადვოკატმა მათ მხოლოდ პროკურატურაში განცხადების შეტანის დასტურად წარუდგინა განცხადების რეგისტრაციის ბარათი, თუმცა, ადვოკატი საქმის მსვლელობის თაობაზე არ იყო ინფორმირებული და ეს განცხადებაც (ერთი წლის თავზე) იმიტომ შეიტანა პროკურატურაში, რომ კლიენტი არ დაეკარგა.

1.8 ადვოკატმა ყოფილ კლიენტებს არ დაუბრუნა არც დოკუმენტები, არც თანხა, რის შემდეგაც ნ. მ-მ ლ. ჭ-ს გაუგზავნა ფოსტით შეტყობინება, რომ გადიოდა ხელშეკრულებიდან და მოითხოვდა დოკუმენტებისა და თანხის - 1150 (ათას ას ორმოცდაათი) ლარის დაბრუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი გააფრთხილა, რომ საჩივარს შეიტანდა ეთიკის კომისიაში, რაზეც მიიღო პასუხი, რომ: „მაგას გააკეთებ და კაი ჩიტს დაიჭერო“ და, მეტიც, ლ. ჭ დაემუქრა საჩივრის ავტორს, რომ პროკურატურაში უჩივლებდა, რაც, მოგვიანებით, განახორციელა კიდეც. 2016 წლის 06 თებერვალს ნ. მ-მ ლ. ჭ-ს გაუუქმა რწმუნებულება, ვინაიდან დაკარგა მის მიმართ ნდობა.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, ეს სასამართლო იყო ბოლო შანსი მისთვის კუთვნილი თანხის უკან დასაბრუნებლად, რომელიც ადვოკატმა, თავისი უმოქმედობით, დააკარგინა.

1.10 2016 წლის 14 მარტს საპროცესო კოლეგია გაესაუბრა საჩივრის ავტორებს, რომელთაც დამატებით განმარტეს, რომ ეგონათ ადვოკატს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული ჰქონდა, თუმცა აღმოაჩინეს, რომ ადვოკატს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

1.11 განხილვის კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე მომჩივანმა განმარტა, რომ ადვოკატ ლ. ჭ-ს მისთვის მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაზე ყველანაირი სახის იურიდიული მომსახურება უნდა გაეწია ყველა ინსტანციის სასამართლოში, მანამ სანამ არ შეწყვეტდა მასთან საადვოკატო

მომსახურების ხელშეკრულებას. ადვოკატმა ნ. მ გააფრთხილა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით არ ეპასუხა სატელეფონო ზარებზე და ყველა დაეკავშირებინა ადვოკატთან. ზუგდიდის რაიონული სასამართლოდან სხდომის თარიღის შეტყობინების მიზნით მოსამართლის თანაშემწემ დაურეკა ნ. მ-ს, მაგრამ მან ადვოკატთან შეთანხმების მიხედვით თანაშემწეს ადვოკატ ლ. ჭ-ის ნომერი მისცა. სასამართლო ადვოკატს ვერ დაუკავშირდა.

1.12 მომჩივანის განმარტებით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების ასლი მისი მითითებით, ადვოკატთან გავლილი კონსულტაციების შესაბამისად გადაეგზავნა მის წარმომადგენელს ლ. ჭ-ს, რომელმაც სასამართლოს გზავნილი ჩაიბარა.

1.13 მომჩივანის განმარტებით მან ახლობელი იურისტი ქალბატონისგან გაიგო ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა იურისტმა საქმის მასალები გამოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოდან. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა არ აცნობა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა და მასთან ინახებოდა, არც წაღება შესთავაზა და არც გასაჩივრების ვადების თაობაზე გაუწია კონსულტაცია. ნ. მ-მ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი დაგვიანებით წარადგინა, რადგან ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მას არ ჩაბარდა, ამასთან არც გასაჩივრების ვადების შესახებ ფლობდა ინფორმაციას, თუმცა მომჩივანის განმარტებით, გადაწყვეტილების გასაჩივრების იურიდიული ინტერესი გააჩნდა. ნ. მ-მ ადვოკატს ურთიერთობის დაწყებისას გადაცემული საბუთები მინდობილობის გაუქმებამდე გამოართვა.

2. მოწმე ზ. ჭ-ის პოზიცია:

2.1 2014 წლის 14 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა მომჩივანის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმე ზ. ჭ. მოწმე ადვოკატ ლ. ჭ-თან გადიოდა იურიდიულ პრაქტიკას, სადაც გაიგო, რომ ნოემბრის თვეში ადვოკატს აღებული ჰქონდა ნ. მ-სა და ზ. კ-ის საქმე. მოწმის განცხადებით, მას დაუკავშირდა ნ. კ და უთხრა, რომ ნ. მ-ს საქმის მასალები გადასცა ადვოკატს ნოემბრის თვეში, მას დღემდე არაფერი გაუკეთებია საქმესთან დაკავშირებით და სთხოვა, შეეხსენებინა დაეწყო საქმე ან კლიენტისთვის დაებრუნებინა დოკუმენტები.

2.2 მოწმის განცხადებით, ნ. კ-ს იცნობს ლ. ჭ-ის ოფისიდან, სადაც რამდენჯერმე შეხვდა. ზ. ჭ აღნიშნავს, რომ, მისი ინფორმაციით, ნ. კ-სა და ლ. ჭ-ს შორის, თანხის გამო, დაძაბული ურთიერთობა არსებობდა, ამიტომაც, ისინი ერთმანეთს მისი მეშვეობით ეკონტაქტებოდნენ.

2.3 ზ. ჭ-ის განმარტებთ, როდესაც შეახსენა ლ. ჭ-ს ეს საქმე, ლ-მ უთხრა, რომ ეს საქმე ნ. კ-ის მიცემული იყო და არ სურდა მასთან კავშირი. საბოლოოდ ლ. ჭ გაეცნო საქმეს, თქვა, რომ იკვეთებოდა გარეული საკითხები, რაზეც დავა შეიძლებოდა და მას დაავალა შეხვედროდა ნ. მ-სა და ზ. კ-ს. მოწმის განცხადებით, ის ჯერ გარეთ შეხვდა მ-სა და კ-ს, მერე ოჯახში მივიდა მათთან და უთხრა, რა თანხა დაუჯდებოდათ ლ-ს მომსახურება. საჩივრის ავტორებმა პირველად ადვოკატს ხარჯებისთვის გათვალისწინებული 350 (სამას ორმაცდაათი) ლარი, ხოლო მოგვიანებით, 1000 (ათასი) ლარი გადაურიცხეს, რაც აუდიტისთვის გათვალისწინებული თანხა იყო.

2.4 მოწმის განმარტებით, ნ. მ/ზ. კ-სა და ლ. ჭ-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 26 მარტს, მისი აქტიურობის წყალობით, რადგან ლ. ჭ-ს ამის გაკეთება არ სურდა. მინდობილობა მასზეც გაიცა, როგორც ლ. ჭ-ის თანაშემწეზე.

2.5 ზ. ჭ-ის განცხადებით, მასსა და ლ. ჭ-ს შორის ნათესაური კავშირი არ არსებობს, ისინი მხოლოდ მოგვარეები არიან. უფრო მეტიც, ლ. ჭ-მ მამამისიც მოატყუა, რომლის საქმესაც 2 წლის წინ აწარმოებდა და დღემდე არ აქვს დოკუმენტები დაბრუნებული.

2.6 მოწმის განმარტებით, როდესაც ლ-ს ურთიერთობა ეძაბებოდა კლიენტებთან, ტელეფონი სულ გათიშული ჰქონდა, ამიტომ ეს კლიენტები მას უკავშირდებოდნენ და მისი მეშვეობით იგებდნენ საქმის ვითარებას. ერთხელ ნ. მ-მაც დაურეკა, აღელვებული იყო და უთხრა, რომ სასამართლოდან უკავშირდებოდნენ, ლ. ჭ კი ტელეფონს არ პასუხობდა. ზ. ჭ-ის განცხადებით, მასაც არ პასუხობდა ლევანი ტელეფონზე, ამიტომ დაურეკა მის ცოლს და გადასცა ნ. მ-ს სიტყვები. საღამოს მოწმეს ადვოკატი დაუკავშირდა და უთხრა, რომ სასამართლოზე მათი დასწრება აუცილებელი არ იყო, ის გააგზავნიდა წერილს და ამით დააფიქსირებდა კლიენტის პოზიციას. მოგვიანებით მოწმეს ლ. ჭ-ს ცოლმა განუმარტა, რომ ამ პერიოდში დააკავეს ლ. ჭ-ს ბიძაშვილები, იგი აქტიურად იყო საქმეში ჩართული და სწორედ, ამიტომ ვერ უკავშირდებოდნენ ლ. ჭ-ს.

2.7 ზ. ჭ-ის განცხადებით, მას ლ. ჭ-თან ურთიერთობა აღარ აქვს 2015 წლის ზაფხულიდან. თუმცა, მასთან ყოფნის დროის განმავლობაში, სხვა კლიენტებთანაც ჰქონდა ლ. ჭ-ს პრობლემები თანხებთან, მომსახურეობასთან და კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2016 წლის 19 თებერვლის ადვოკატ ლ. ჭ-ის წერილობითი განმარტებისა და 2016 წლის 14 სექტემბრის განხილვის სხდომაზე ადვოკატის ზეპირი განმარტების თანახმად, მან 2015 წლის 26 მარტს ნ. მ-თან გააფორმა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე. საქმე ეხებოდა კერძო აღმასრულებლის ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. კერძო აღმასრულებელს ჩადენილი ჰქონდა დანაშაული. ადვოკატს ჯერ პროკურატურაში, ხოლო შემდეგ სასამართლოში უნდა შეეტანა სარჩელი აღმასრულებლის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოცემულ სტრატეგიაში არ შედიოდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის წარმოება. ამასთან კლიენტთან ხელშეკრულების დადებისას ადვოკატმა საერთოდ არ იცოდა თუ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული დავა. ლ. ჭ-ს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია საგამოძიებო ეტაპზე და სასამართლოში – ყველა ინსტანციაში, ზიანის ანაზღაურებამდე. ჰონორარის სახით დამატებით განისაზღვრა ამოღებული თანხის 10 პროცენტი. ადვოკატის სტრატეგია კლიენტისთვის ცნობილი იყო თავიდანვე. ხელშეკრულების დადებისას არავისთვის, მათ შორის არც კლიენტისთვის იყო ცნობილი, რომ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული დავა. ამის გამოა ხელშეკრულების საგანში მითითებული სამოქალაქო საქმე და პროკურატურა, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარმომადგენლობაზე არც მოგვიანებით შეთანხმებულან. მინდობილობაში ნოტარიუსმა ზოგადად მიუთითა ყველა ინსტანციას სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამსოილება.

3.2 ადვოკატის განცხადებით, მხარის აპელირება, რომ მან დაგვიანებით შეიტანა განცხადება პროკურატურაში, აბსურდულია, რამდენადაც, 2015 წლის 16 ნოემბრით დათარიღებულ წერილში მოკვლევა აღმასრულებლის მიმართ დაწყებული იყო 2015 წლის 30 ივნისს. ადვოკატი უთითებს, რომ მანამდე მას სჭირდებოდა დრო საქმის შესასწავლად და დასასაბუთებლად, თუ რატომ უნდა დაწყებულიყო მოკვლევა აღმასრულებლის მიმართ, აგრეთვე, დრო სჭირდებოდა მთავარ

პროკურატურაში შეტანილი განცხადების გადაგზავნასაც იუსტიციის სამინისტროს გენ ინსპექციაში.

3.3 ადვოკატის განცხადებით, ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმესთან დაკავშირებული ბრალდება უსაფუძვლოა, რადგანაც, წინასწარ არც საუბარი, არც შეთანხმება ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარმომადგენლობაზე მხარეებს არ ჰქონიათ. ნ. მ-მ დაურეკა ადვოკატს და აცნობა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლო იხილავდა მასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ დავას და ითხოვდა რჩევას თუ როგორ მოქცეულიყო აღნიშნულ სიტუაციაში. ლ. ჭ როგორც წარმომადგენელი იმ საქმეში ჩართული არ ყოფილა. ადვოკატმა იფიქრა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება დაეხმარებოდა აღმასრულებლის წინააღმდეგ ინფორმაციის მიღებაში. ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ დაუკავშირდა ზ. კ-ს, რომელმაც უთხრა, რომ სასამართლოზე ვერ გამოცხადდებოდა ფინანსური პრობლემების გამო. ერთად გადაწყვიტეს, რომ არ წავიდოდნენ სასამართლოში ფინანსური პრობლემების გამო. ადვოკატი არ დაპირებია კლიენტს, რომ სასამართლოზე გამოცხადდებოდა როგორც მათი წარმომადგენელი. იმ დროს როცა ადვოკატმა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაიბარა ის ჯერ კიდევ ნ. მ-ს ადვოკატი იყო, თუმცა ეს იყო სხვა სახის დავა და სასამართლო გადაწყვეტილებაც მხოლოდ ნ. მ-ს თხოვნით ჩაიბარა, რადგან თვითონ ვერ ახერხებდა გადაწყვეტილების ჩაბარებას. მინდობილობის მის სახელზე გაფორმებაც მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენდა. ფორმალობის გამო დოკუმენტების ადრესატი უნდა ყოფილიყო. ადვოკატმა ნ. მ-ს შეატყობინა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ჩაბარდა და შესაბამისი კონსულტაცია გაუწია.

3.4 ადვოკატის განმარტებით, კლიენტი არ მისულა მასთან გადაწყვეტილების წასაღებად. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყების თაობაზე, ასევე გასაჩივრების წესი, თუმცა მან უთხრა, რომ გასაჩივრების ფინანსური საშუალება არ ჰქონდა. მას არ ევალებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრება, აღნიშნულზე არ შეთანხმებულა. მოგვიანებით კლიენტმა ადვოკატს გამოართვა საქმის მასალები, მათ შორის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაც.

3.5 ადვოკატის განცხადებით, თანხებთან დაკავშირებით მან საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ მის საადვოკატო მომსახურებაში შედიოდა მისთვის გადაცემული 800 (რვაასი) ლარი და არა 300 (სამასი) ლარი.

3.6 ადვოკატის განცხადებით, სიცრუეა ის ფაქტი, რომ იგი საჩივრის ავტორებს ემალებოდა. ადვოკატი კლიენტს ნ. მ-ს, როგორც წესი მის საცხოვრებელ სახლში ხვდებოდა, ვინაიდან ნ. მ გვიანობამდე მუშაობდა. ადვოკატი საჩივრის ავტორს აწვდიდა ინფორმაციას, რომ ელოდებოდა მოკვლევის დასრულებას და გაჰყვებოდა მას დაკითხვაზე. ადვოკატს საჩივრის ავტორისთვის მიცემული ჰქონდა საცხოვრებელი სახლის ტელეფონის ნომერი - ----. ლ. ჭ-ის განმარტებით, ბოლო პერიოდში იყო ცუდად, ჩ-ის კლინიკაში გადიოდა გამოკვლევის კურსს, რის შესახებაც აცნობა მხარეს და აუხსნა, რომ ვეღარ შეძლებდა მათთან გვიან მისვლას, საჩივრის ავტორები თვითონ უნდა მისულიყვნენ ოფისში, რაზეც პასუხად მიიღო, რომ დაურეკავდნენ. ადვოკატის განცხადებით, სიცრუეა ის, რომ ვინმეს დაემალა.

3.7 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის საქმეზე განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: შეისწავლა საქმე, გამოკვეთა აღმასრულებლის უკანონო ქმედება, განცხადებები შეიტანა მთავარ პროკურატურაში და პროკურატურამ გადააგზავნა განცხადება საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს გენინსპექციაში. განცხადებები არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც ადვოკატმა ისინი შესაბამისი წესით გაასაჩივრა. იუსტიციის წარმომადგენელთან იყო შეხვედრაზე ინფორმაციის მოძიების მიზნით. ადვოკატმა ნ. მ-ს აცნობა, რომ აღმასრულებელთან დაკავშირებით საქმეს იძიებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და მას დასაკითხად იბარებდნენ. ამ დროს ნ. მ-მ უარი უთხრა ადვოკატს იურიდიულ მომსახურებაზე, დაახლოებით წინა წლის ზაფხულში. ამის შემდეგ ადვოკატმა კლიენტს გაუგზავნა გამომძიებლის ნომერი და მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყდა.

4. მოწმე ნ. კ-ის პოზიცია:

4.1 2016 წლის 25 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა მოწმე ნ. კ. მოწმემ განმარტა, რომ ზ. კ იყო მისი შვილის ყოფილი უფროსი და მას უთხრა, რომ, რაღაც პრობლემები ჰქონდა ზუგდიდში მეუღლის ბინასთან დაკავშირებით და სჭირდებოდა ადვოკატი. ნ. კ-მ ზ. კ შეახვედრა ადვოკატ ლ. ჭ-ს. ადვოკატმა ზ. კ-ს საქმის მასალები გამოართვა შესასწავლად.

4.2 მოწმის განცხადებით, მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატს უნდა შეეტანა საჩივარი პროკურატურაში და აღეძრა საქმე აღმასრულებლის წინააღმდეგ.

4.3 ნ. კ-ის განმარტებით, ადვოკატთან ოფისში იმყოფებოდა, როდესაც მას ზუგდიდის საქალაქო სასამართლოდან დაურეკეს. ადვოკატმა მაშინვე დაურეკა ზ. კ-ს და უთხრა, რომ ზუგდიდში იყვნენ წასასვლელები, რაზეც კ-მ უპასუხა, რომ არ ჰქონდა ფინანსური საშუალება და ვერ წაიყვანდა ადვოკატს ზუგდიდში. მოწმის თქმით, ზ. კ ცნობებსაც ვერ აგროვებდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, ფული არ ჰქონდა.

4.4 მოწმე როგორც აღნიშნავს, ის თვითონაც ესწრებოდა ხოლმე მხარეთა შეხვედრებს, ძირითადად ისნის მეტროსთან ხვდებოდნენ. ერთ–ერთი შეხვედრის დროს ლევანმა გადასცა ყველა დოკუმენტი ზ. კ-ს და მის მეუღლეს, უთხრა, რომ პროკურატურაში დაწყებული იყო საქმის წარმოება, მათ მადლობაც გადაუხადეს ადვოკატს.

4.5 ნ. კ განმარტავს, რომ ადვოკატ ლ. ჭ-ს უარი არ უთქვამს ნ. მ/ზ. კ-თვის მომსახურეობის გაწევაზე. პირიქით, მათ მოსთხოვეს ადვოკატსსაბუთების დაბრუნება, რადგან სხვა ადვოკატები უკვე აყვანილი ჰყავდათ.

4.6 მოწმე აღნიშნავს, რომ, მისი ინფორმაციით, ზ. ჭ, იყო ადვოკატის ბიძაშვილი და ის ხშირად ესწრებოდა მ./კ.-სთან შეხვედრას, რამდენჯერმე ადვოკატის გარეშეც შეხვდა მათ.

5. მოწმე ლ. კ-ის პოზიცია:

5.1 მოწმე ლ. კ 2016 წლის 04 აპრილს გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და განმარტა, რომ ლ. ჭ-ს იცნობს 2004–2005 წლიდან. მას აქვს უძრავ–მოძრავი ქონების გაყიდვის სააგენტო და ხშირად სჭირდება ადვოკატი. ლ. ჭ არის მისი სააგენტოს ადვოკატი. მოწმის განცხადებით, ყოფილა ხოლმე ისეთი შემთხვევა,როცა ის და ლ. ჭ ერთად გასულან ოფისის ან ადვოკატის კლიენტის საქმეზე.

5.2 მოწმის განმარტებით, მ.-ის ოჯახი ზეწოლას ახდენდა ადვოკატზე შეხვედრასთან დაკავშირებით. ერთ–ერთი ასეთი სატელეფონო ზეწოლის დროს, ადვოკატმა სთხოვა კლიენტთან შეხვედრას დასწრებოდა. ლ. კ დაესწრო ადვოკატ-კლიენტის საუბარს. საჩივრის ავტორები ადვოკატს სთხოვდნენ რაღაც საბუთებს, ბინასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. ადვოკატისგან ითხოვდნენ გამოსახლებასთან დაკავშირებით დახმარებას. ადვოკატი კლიენტებს უხსნიდა, რომ

პროკურატურაში ჰქონდა დაწყებული საქმე, ელოდებოდა გადაწყვეტილებას, რაზეც უპასუხეს, რომ ეს საკმარისი არ იყო.

5.3 მოწმის განცხადებით, ადვოკატმა მასუთხრა, რომ ზ. ჭ-მ გააცნო ნ. მ და ზ. კ. ზ. ჭ-ს ადვოკატი ასწავლიდა ადვოკატურის საქმეებს, ის ლ. ჭს პროცესებზეც დაყვებოდა.

5.4 მოწმე განმარტავს, რომ ზ. ჭ-თან ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა, რაც უკავშირდებოდა სესხის ხელშეკრულებას. ზ. ჭ-მ ვერ შეძლო სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება, რამაც გაართულა მისი ურთიერთობა ადვოკატ ლ. ჭ-სა და ლ. კ-თან. ამჟამად კი ზ. ჭ საქმეებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ადვოკატის წინააღმდეგ იყენებს.

6. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

6.1 2016 წლის 20 მაისს დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ჭ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

6.2 მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დასტურდებოდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ადვოკატმა ლ. ჭ-მ არ წარმოადგინა ნ. მ-ს ინტერესები, ასევე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაეგზავნა და ჩაბარდა ადვოკატ ლ. ჭ-ს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარდგენილია საპროცესო ვადის დარღვევით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატს ხელშეკრულებით ან/და კლიენტთან შემდგომი შეთანხმებით ევალებოდა წარმოედგინა მისი ინტერესები ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და არ იმოქმედა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

7. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

7.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდაო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1.1 ნ. მ-სა და ადვოკატ ლ. ჭ-ს შორის 2015 წლის 26 მარტს დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ხელშეკრულების საგნად მიეთითა: „იურიდიული მომსახურების გაწევა – სამოქალაქო საქმე; პროკურატურა“. საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების წესად განისაზღვრა შემდეგი: კლიენტი ადვოკატს უხდის იურიდიული მომსახურების საფასურს (ჰონორარს) ამოღებული თანხის 10 %-ის ოდენობით. კლიენტმა ნ. მმ ადვოკატს იურიდიული მომსახურებისა და საქმის წარმოებისთვის გადაუხადა - 08.06.2015 800 ლარი, 26.03.2015 - 300 ლარი, 02.04.2015 - 50 ლარი (პროკრედიტ ბანკის ამონაწერები).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2015 წლის 26 მარტის ხელშეკრულება

2. რწმუნებულება 23.03.2015 N

3. ქვითრის ასლები

7.1.2 2015 წლის 16 ივლისის სხდომაზე მესამე პირი ნ. მ არ გამოცხადდა. გადაწყვეტილების მე-2 გვერდზე აღნიშნულია, რომ ნ. მ-ს პოზიცია სარჩელთან დაკავშირებით უცნობია. მას წერილობითი პოზიცია არ წარმოუდგენია, ხოლო ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2015 წლის 16 ივლისის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი

2. 2015 წლის 16 ივლისის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

7.1.3 ნ. მ-ს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ეცნობა 2015 წლის 16 ივლისის სხდომის თარიღი და დრო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2015 წლის 06 ივლისის აქტი ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ

7.1.4 ნ. მ-თვის ცნობილი იყო, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაეგზავნა ადვოკატ ლ. ჭ-ს, შესაბამისად მას ჰქონდა შესაძლებლობა გადაწყვეტილება ადვოკატისთვის გამოერთმია. ნ. მ-ს წარმომადგენელს ლ. ჭ-ს მარწმუნებლის სურვილით გაეგზავნა საქმის მასალების ასლები და სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების ასლი. გზავნილი ადვოკატ ლ. ჭ-ზე გადასაცემად ჩაბარდა მის მეუღლეს ი. გ-ს 2015 წლის 22 აგვისტოს. მართალია, გზავნილზე ადრესატის გვარში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და მითითებულია ვინმე ლ. ჭ, მაგრამ 2016 წლის 08 თებერვალს სასამართლო მოხელესთან (მოსამართლის თანაშემწე) სატელეფონო გასაუბრებისას ლ. ჭ-მ დაადასტურა, რომ ის ნამდვილად ცხოვრობს დოკუმენტში მითითებულ მისამართზე, ამასთან მან დაადასტურა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებული აქვს, ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადა ნ. მ-ს ეწურებოდა – 2015 წლის 05 სექტემბერს 24:00 საათზე, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61–ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ვინაიდან 2015 წლის 05 სექტემბერი (შაბათი) და მომდევნო დღეც – 06 სექტემბერი (კვირა) იყო არასამუშაო დღე – სააპელაციო საჩივრის ავტორს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ამოეწურა მომდევნო სამუშაო დღეს – 2015 წლის 07 სექტემბერს 24:00 საათზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის N პასუხი*

2. *საფოსტო გზავნილის ასლი*
3. *ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება*
4. *განხილვის კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის სხდომის ოქმში მოცემული მხარეთა განმარტებები*

7.1.5 ნ. მ-ს სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტას ჩაბარდა 2016 წლის 28 იანვარს – სააპელაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო სასამართლოში შევიდა – 2016 წლის 01 თებერვალს ნ. მ-ს მიერ საფოსტო გზავნილის სახით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *საფოსტო გზავნილის ასლი*
2. *ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება*

7.1.6 2016 წლის 06 თებერვალს ნ. მ-მ გააუქმა 2015 წლის 23 მარტს ლ. ჭ-ის სახელზე გაცემული რწმუნებულება ანუ სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის განსაზღვრული დროისთვის ადვოკატი ლ. ჭ ოფიციალურად ითვლებოდა ნ. მ-ს წარმომადგენლად (რწმუნებულების/მინდობილობის გაუქმება N, 06.02.2016).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *რწმუნებულების გაუქმება 06.02.2016 N*
2. *ზ. კ-მ საქმე N-დან სასამართლოს გადაწყვეტილება 16.07.2015 მოითხოვა 2016 წლის 15 იანვარს*
3. *საჯარო რეესტრის კანცელარიის ბარათი*

7.1.7 ადვოკატმა ლ. ჭ-მ წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, ხოლო ადვოკატის განცხადება საქართველოს მთავარი პროკურატურიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გაიგზავნა 2015 წლის 30 ივნისს. 2015 წლის 21 ოქტომბერს ადვოკატმა კვლავ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოძიების დაწყებისა და მის განცხადებაზე სასწაფო რეაგირების მოთხოვნით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 16 ნოემბრის წერილი N
2. კანცელარიის მიღების ბარათი 21.10.15

7.2 **საქმეში დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:**

7.2.1 განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატ ლ. ჭ-სა და ნ. მ-ს შორის შეთანხმებული არ ყოფილა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე ნ. მ-ს წარმომადგენლობა, მათ შორის არც გადაწყვეტილების გასაჩივრება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

ა) მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი ვალდებული იყო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარმოედგინა მისი ინტერესები, ხოლო შემდეგ გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან ადვოკატთან არსებული შეთანხმების თანახმად, ის ვალდებული იყო მის საქმეზე გაეწია ნებისმიერი მიმართულებით საადვოკატო მომსახურება დავის დასრულებამდე, რაშიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული ორი ინსტანციის სასამართლო მოიაზრება. ადვოკატის განმარტებით, ის კლიენტს არ შეთანხმებია ადმინისტრაციულ საქმეზე წარმომადგენლობაზე, რასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაც ადასტურებს და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაიბარა კლიენტის თხოვნით, ვინაიდან მას ვერ ჩაბარდებოდა გადაწყვეტილება, სხვა დამატებითი ვალდებულება მოცემულ საქმეზე ადვოკატს არ აუღია.

ბ) საქმის მასალების მიხედვით, ნ. მ-სა და ადვოკატ ლ. ჭ-ს შორის 2015 წლის 26 მარტს დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ხელშეკრულების საგნად მიეთითა: „იურიდიული მომსახურების გაწევა – სამოქალაქო საქმე; პროკურატურა.“ ნ. მ-ს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ეცნობა 2015 წლის 16 ივლისის სხდომის თარიღი და დრო. 2015 წლის 16 ივლისის სხდომაზე მესამე პირი ნ. მ არ გამოცხადდა. გადაწყვეტილების მე-2 გვერდზე აღნიშნულია, რომ ნ. მ-ს პოზიცია სარჩელთან დაკავშირებით უცნობია. მას წერილობითი პოზიცია არ წარმოუდგენია, ხოლო ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა. ნ. მ-ს წარმომადგენელს ლ. ჭ-ს მარწმუნებლის სურვილით გაეგზავნა საქმის მასალების ასლები და სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების ასლი. გზავნილი ადვოკატ ლ. ჭ-ზე გადასაცემად ჩაბარდა მის მეუღლეს ი. გ-ს 2015 წლის 22 აგვისტოს. მართალია, გზავნილზე ადრესატის გვარში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და მითითებულია ვინმე ლ. ჭ, მაგრამ 2016 წლის 08 თებერვალს სასამართლო მოხელესთან (მოსამართლის თანაშემწე) სატელეფონო გასაუბრებისას ლ. ჭ-მ დაადასტურა, რომ ის ნამდვილად ცხოვრობს დოკუმენტში მითითებულ მისამართზე, ამასთან მან დაადასტურა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებული აქვს, ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადა ნ. მ-ს ეწურებოდა – 2015 წლის 05 სექტემბერს 24:00 საათზე, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61–ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ვინაიდან 2015 წლის 05 სექტემბერი (შაბათი) და მომდევნო დღეც – 06 სექტემბერი (კვირა) იყო არასამუშაო დღე – სააპელაციო საჩივრის ავტორს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ამოეწურა მომდევნო სამუშაო დღეს – 2015 წლის 07 სექტემბერს 24:00 საათზე. ნ. მ-ს სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტას ჩაბარდა 2016 წლის 28 იანვარს – სააპელაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო სასამართლოში შევიდა – 2016 წლის 01 თებერვალს ნ. მ-ს მიერ საფოსტო გზავნილის სახით. საჩივრის ავტორს მტკიცებულება იმისა, რომ

იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების გარდა ცალკე შეუთანხმდა ადვოკატს ადმინისტრაციულ საქმეზე მისი ინტერესების წარმოდგენის თაობაზე, არ წარმოუდგენია. რაც შეეხება საჩივრის ავტორთა მოწმის, ზ. ჭ-ის 2016 წლის 14 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიისათვის მიცემულ განმარტებას, აღნიშნულ სადაო გარემოების თაობაზე მოწმე ინფორმაციას არ აწვდის კოლეგიას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2015 წლის 26 მარტის ხელშეკრულება*
2. *რწმუნებულება 23.03.2015 N*
3. *2015 წლის 16 ივლისის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი*
4. *2015 წლის 16 ივლისის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება*
5. *2015 წლის 06 ივლისის აქტი ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ*
6. *ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის N პასუხი*
7. *საფოსტო გზავნილის ასლი*
8. *ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება*
9. *რწმუნებულების გაუქმება 06.02.2016 N*
10. *მოწმის ზ. ჭ-ის 2016 წლის 14 მარტის განმარტება*
11. განხილვის კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის სხდომის ოქმში მოცემული მხარეთა განმარტებები

8. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ჭ-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

9. სამართლებრივი შეფასება

9.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჭ-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: ,,ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

9.2 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ. ჭ-ის მიერ ნ. მ-თვის არაკვალიფიციური საადვოკატო მომსახურების გაწევა გამოიხატა შემდეგში: 1. კლიენტის არაინფორმირებულობა სტრატეგიის შესახებ, კლიენტს განსხვავებული წარმოდგენა აქვს შეთანხმება საგანზე 2. მოქცევა ისე, რომ კლიენტს გაუჩნდა ეჭვი ნდობაზე 3. ჰონორარის გამოთვლისა და გადახდის წესის მოუწესრიგებლობა წერილობით ხელშეკრულებაში: სამოქალაქო საქმეში რა შედიოდა და რა ღირდა ეს წარმოება მომავალში ეს არ იცოდა კლიენტმა/ ,,პროკურატურა მისახვედრია.“

9.3 ურთიერთშეთანხმება არის საფუძველი ორმხრივად გამოვლენილი ნებისა ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების გაწევის და ამ მომსახურებისათვის ანაზღაურების გადახდის შესახებ. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს შეთანხმების საგანი და მისი საქმის წარმოების შესახებ ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება განუმარტოს და, ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი პირობები მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან, რადგან ყოველთვის უნდა იცოდეს კლიენტმა ხელშეკრულების ზუსტი საგანი და იმ მომსახურების ფინანსური მხარე, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად.

9.4 სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით, გარიგება შეიძლება იყოს, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით დადებული, თუმცა, ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ასეთი შეთანხმება ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობით შედგეს. წერილობითი შეთანხმება ადვოკატისა და კლიენტისათვის თანაბრად უპირატესია, რადგან კონკრეტულად ჩანს, რა იყო შეთანხმების საგანი, რა ოდენობის ჰონორარის გადახდა შეთანხმდა მხარეთა შორის. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის ამაში.

9.5 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი.

9.6 ნ. მ-სა და ადვოკატ ლ. ჭ-ს შორის 2015 წლის 26 მარტს დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ხელშეკრულების საგნად მიეთითა: „იურიდიული მომსახურების გაწევა – სამოქალაქო საქმე; პროკურატურა“. ადვოკატსა და კლიენტს განსხვავებული წარმოდგენები აქვთ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით და ადვოკატის მიერ გასაწევი იურდიული მომსახურების მიმართ, კერძოდ ადვოკატს მიაჩნია, რომ მან ნ. მ-ს მიმართ ვალდებულება აიღო ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე კერძო აღმასრულებლისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით, რაც ხელშეკრულებაში მოაწესრიგა ფრაზით ,,სამოქალაქო საქმე“, ხოლო კლიენტს მიაჩნია, რომ ადვოკატმა უნდა წარმოადგინოს მის სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით ყველა

დავაში, მათ შორის ადმინისტრაციული საქმისწარმოებაში, შესაბამისად კლიენტს მეტი მოლოდინი ჰქონდა ადვოკატის მიერ გასაწევი მომსახურების მიმართ.

9.7 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საგანი უნდა მოაწესრიგოს კონკრეტულად და უმჯობესია მოერიდოს ზოგად მითითებებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბუნდოვანია შეთანხმების საგანი. მოცემულ შემთხვევაშიც გაურკვევლია რომელი სამოქალაქო საქმის, რამდენი სამოქალაქო საქმის წარმოება მოიაზრებოდა ლ. ჭ-სა და ნ. მ-ს შორის შეთანხმებულად. ხელშეკრულებაში ნათლად უნდა ჩანდეს ადვოკატს ხელშეკრულების საგნად მითითებულ სამოქალაქო საქმის ფარგლებში რომელი პროპორციული და ადექვატური იურიდიული მოქმედებები უნდა განეხორციელებინა და რა ღირდა მათი შესრულება. ხელშეკრულების მსგავსი მოწესრიგებით კლიენტი, ამ შემთხვევაში ნ. მ ბოლომდე არ არის ინფორმირებული ადვოკატის მიერ განსახორციელებელი იურიდიული მოქმედებების თაობაზე.

9.8 ამ შემთხვევაში მისახვედრია თუ რა იგულისხმება პროკურატურაში საქმისწარმოებაში, ამასთან ადვოკატმა ლ. ჭ-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 16 ნოემბრის წერილი N, საიდანაც ირკვევა, რომ ადვოკატმა ლ. ჭ-მ წერილობით მიმართა პროკურატურას 2015 წლის 21 ოქტომბერს (კანცელარიის მიღების ბარათი 21.10.15), ხოლო ადვოკატის განცხადება საქართველოს მთავარი პროკურატურიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გაიგზავნა 2015 წლის 30 ივნისს. 2015 წლის 21 ოქტომბერს ადვოკატმა კვლავ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოძიების დაწყებისა და მის განცხადებაზე სასწაფო რეაგირების მოთხოვნით.

9.9 ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა კლიენტთან წინასწარ შეათანხმოს საადვოკატო საზღაურის ოდენობა. საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება არა მხოლოდ მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, არამედ ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა აცნობოს საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობა, გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები.

9.10 ნ. მ-სა და ადვოკატ ლ. ჭ-ს შორის 2015 წლის 26 მარტს დადებული წერილობითი ხელშეკრულებით საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების წესად განისაზღვრა შემდეგი: კლიენტი ადვოკატს უხდის იურიდიული მომსახურების საფასურს (ჰონორარს) ამოღებული თანხის 10 %-ის ოდენობით. კლიენტმა ნ. მ-მ ადვოკატს იურიდიული მომსახურებისა და საქმის წარმოებისთვის ლ. ჭ-ს გადაუხადა - 08.06.2015 800 ლარი, 26.03.2015 - 300 ლარი, 02.04.2015 - 50 ლარი (იხ. პროკრედიტ ბანკის ამონაწერები). კლიენტის განმარტებით, მის მიერ გადახდილი 350 ლარი წარმოადგენდა საქმის წარმოების ხარჯებისთვის გადახდილ თანხას, ხოლო 800 ლარი როგორც ადვოკატმა განუმარტა, განკუთვნილი იყო აუდიტის ჩატარებისთვის, თუმცა კლიენტისთვის უცნობია რისთვის იყო საჭირო აუდიტის ჩატარება. ადვოკატი განმარტავს, რომ 800 ლარი წარმოადგენს მის კუთვნილ საზღაურს და ეს გარემოება თავიდანვე იყო ცნობილი კლიენტისათვის. მხარეთა შორის არსებული წერილობითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს პირობას, რომლის მიხედვითაც ადვოკატი უფლებამოსილია საქმის დასრულებამდე მიიღოს საადვოკატო მომსახურების საზღაური, ხელშეკრულებაში მხოლოდ ერთი პუნქტი აქვს დათმობილი საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების წესს და როგორც უკვე აღვნიშნეთ

ადვოკატის საზღაური შეადგენს ამოღებული თანხის 10 %-ს. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე დგინდება, რომ ადვოკატმა ლ. ჭ-მ წინასწარ არ აუხსნა კლიენტს თუ რაში და რა ოდენობის თანხა უნდა გადაეხადა მას, რაც არღვევს კლიენტთან წინასწარ საზღაურის შეთანხმების ეთიკურ წესს.

9.11 ადვოკატ ლ. ჭ-მ მსგავსი მოქმედებებით მის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების მიმართ ეჭვი გაუჩინა კლიენტს და ნ. მ გავიდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებიდან. განხილვის კოლეგია განუმარტავს ადვოკატ ლ. ჭ-ს, რომ ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა ნდობის პრინციპს ემყარება. კლიენტის მოლოდინი ადვოკატისადმი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლისადმი, იმაში გამოიხატება, რომ ადვოკატის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი მორალურ-ზნეობრივი ვალდებულება ამგვარ ურთიერთობას აღმოაცენებს არა მხოლოდ ისეთ ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველზე, როგორიცაა ხელშეკრულების ხელმოწერა, კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლობაზე მინდობილობის მინიჭება, არამედ სწორედ ეთიკური ნორმების საფუძველზე. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ეს თვისებები იმავდროულად ვალდებულებაა და "ამ ვალდებულებათა შორის უდავოდ უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში".

9.12 ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა ლ. ჭმ ვერ შეძლო კლიენტთან ნ. მსთან ნდობის პრინციპის დაცვა.

9.13 საქმის განხილვის ეტაპზე ვინაიდან დადგინდა, რომ ადვოკატ ლ. ჭ-სა და ნ. მ-ს შორის შეთანხმებული არ ყოფილა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე ნ. მ-ს წარმომადგენლობა, მათ შორის არც გადაწყვეტილების გასაჩივრება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნ. მ-თვის ცნობილი იყო და სასამართლოს მიერ მისი მითითებით გაეგზავნა ადვოკატ ლ. ჭ-ს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაბამისად მას ჰქონდა შესაძლებლობა გადაწყვეტილება ადვოკატისთვის გამოერთმია, განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჭ-ს არ დაურღვევია შემდეგი ნორმები:

ა) „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

9.14 კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომლებიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

9.15 ნ. მ-სა და ადვოკატ ლ. ჭ-ს შორის 2015 წლის 26 მარტს დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ხელშეკრულების საგნად მიეთითა: „იურიდიული მომსახურების გაწევა – სამოქალაქო საქმე; პროკურატურა“. კლიენტმა ნ. მ-მ ადვოკატს იურიდიული მომსახურებისა და საქმის წარმოებისთვის გადაუხადა - 08.06.2015 800 ლარი, 26.03.2015 - 300 ლარი, 02.04.2015 - 50 ლარი (პროკრედიტ ბანკის ამონაწერები).

9.16 ადვოკატ ლ. ჭ-თან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დადებისას კლიენტს - ნ. მ-ს ჰქონდა ადმინისტრაციული დავა ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში, სადაც ჩართული იყო მესამე პირის სახით, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რეგისტრირებული უფლების გაუქმება. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით N--- გაუქმდა საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე ნ. მ-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება სესხისა და იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. გადაწყვეტილების მე-2 გვერდზე მესამე პირის პოზიციაში აღნიშნულია, რომ ნ. მს პოზიცია უცნობია სარჩელთან დაკავშირებით, მას წერილობითი პოზიცია არ წარმოუდგენია, ხოლო ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადებულა. კლიენტისა და ადვოკატის ახსნა-განმარტებები ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში ადვოკატის მოვალეობების მიმართ განსხვავებული იყო, შესაბამისად საპროცესო კოლეგიამ დისციპლინური დევნა ადვოკატ ლ. ჭ-ის მიმართ დაიწყო ადვოკატის მიერ კვალიფიციური მომსახურების გაწევის ვალდებულების სავარუდო დარღვევის საფუძვლით, თუ განხილვის კოლეგია დაადგენდა, რომ ადვოკატს ხელშეკრულებით ან/და კლიენტთან შემდგომი შეთანხმებით ევალებოდა წარმოედგინა მისი ინტერესები ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და არ იმოქმედა ხელშეკრულებისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან, განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ლ. ჭ-სა და ნ. მ-ს შორის შეთანხმებული არ ყოფილა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე ნ. მ-ს წარმომადგენლობა, მათ შორის არც გადაწყვეტილების გასაჩივრება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს კომუნიკაცია ჰქონდა ნ. მ-თან, ნ. მ-თვის ცნობილი იყო, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაეგზავნა ადვოკატ ლ. ჭ-ს, შესაბამისად მას ჰქონდა შესაძლებლობა გადაწყვეტილება ადვოკატისთვის გამოერთმია, ამ ნაწილში ადვოკატ ლ. ჭ-ს არ დაურღვევია კვალიფიციურად მომსახურების ვალდებულება.

9.17 მომჩივანმა განხილვის სხდომაზე გააჟღერა პრეტენზია ადვოკატის მიერ საქმის მიმდინარეობის თაობაზე მისი არაინფორმირებულობის შესახებ, რაც დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილებაში შეფასებულია და ამ კუთხით მომჩივანის პრეტენზია საპროცესო ეტაპზე არ დაკმაყოფილდა. განხილვის კოლეგია ეთანხმება საპროცესო კოლეგიის შეფასებას იმის თაობაზე, რომ როგორც საჩივრის ავტორებს, ასევე ადვოკატ ლ. ჭ-ს საქმის საპროცესო და განხილვის ეტაპზე ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები წარმოედგინათ მტკიცებულებები. კოლეგია აღნიშნავს, რომ

მოწმეების: ზ. ჭ-ის, ნ. კ-ის და ლ. კ-ის ახსნა–განმარტებებიდან ნათლად ჩანს, რომ ლ. ჭ ხშირად ხვდებოდა საჩივრის ავტორებს და აწვდიდა მათ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

9.18 საჩივრის ავტორთა მიერ ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნებასთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28–ე მუხლის მე–7 პუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს“. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის თანხის დაბრუნების განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის. მხარეს შეუძლია, აღნიშნული მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, მე-8 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ლ. ჭ-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ზემოქმედების ღონისძიების სახით განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნებათ მხოლოდ მხარეებს.
4. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/